დადგენილება #30/2024 “სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში პროფესორის /მასწავლებლის/კონცერტმაისტერის შრომითი საქმიანობის ნორმირების შესახებ“ კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ივლისის #57/2020 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

დადგენილება #30/2024

თარიღი: 21 ოქტომბერი, 2024 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე და 63–ე მუხლების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ და „წ“ ქვეპუნქტებისა და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 21 ოქტომბრის N14 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1.შევიდეს ცვლილებები და დამატებები “სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში პროფესორის /მასწავლებლის/კონცერტმაისტერის შრომითი საქმიანობის ნორმირების შესახებ“ კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ივლისის #57/2020 დადგენილებაში, კერძოდ:

ა) შევიდეს ცვლილება დადგენილების მე–2 პუნქტში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „2. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის, ასევე მოწვეული მასწავლებლის სრული საკონტაქტო დატვირთვა განისაზღვროს 560–დან 640 საათამდე.“.

ბ) შევიდეს ცვლილება დადგენილების მე–3 პუნქტში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „3. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტზე კონცერტმაისტერის სრული საკონტაქტო დატვირთვა განისაზღვროს 780 საათის ოდენობით.“.

გ) დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი: „4^1. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის, ასევე მოწვეული მასწავლებლის სრული საკონტაქტო დატვირთვა განისაზღვროს 400-დან 500 საათამდე.“.

დ) შევიდეს ცვლილება დადგენილების მე-5 პუნქტში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „5. აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლის დატვირთვების დათვლა განისაზღვროს 25-იანი ბიჯით, კონცერტმაისტერის - საათობრივი დატვირთვის შესაბამისად.“.

ე) დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 პუნქტი: „5^1. მასწავლებლის/კონცერტმაისტერის შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვროს კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

2.დადგენილება დასამტკიცებლად გადაეგზავნოს კონსერვატორიის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებგვერდზე www.tsc.edu.ge.

4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №64).

5. დადგენილება ძალაშია კანონდებლობით დადგენილი წესით.

პროფესორი გიორგი ვაჩნაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი